ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4682531

ნომერი: AR1705137

თარიღი : 05.09.2019

გაცემის თარიღი : 23.09.2019

გაცნობის თარიღი : 23.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 68;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ ჯიშიაშვილი პ/ნ 62001023488
- სოხუმი კვარაცხელიას ქ. N 10 ბ. 39

ორგანიზაცია:
- ბმა გალერეა2019 კოდი: 205378358

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
განცხადებაზე წარმოდგენილი 2019 წლის 20 ივნისის განჩინებით რამაზ მეგენეიშვილს აეკრძალა ამხანაგობის „აღმაშენებელი 2011“ წევრთა 2/3-ის თანხმობის გარეშე: ამხანაგობის ფულადი სახსრები 1000 ლარზე მეტი ოდენობით განკარგვა და ამხანაგობის სახელით 1000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე გარიგების დადება, დანარჩენ ნაწილში ამხანაგობის თავმჯდომარეს შეუნარჩუნდა უფლებამოსილებები, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი განჩინება ვერ იქნება მიჩნეული განცხადებაზე უფლებამოსილების დამდეგ დოკუმენტად. აქედან გამომდინარე ვინაიდან საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ,ამხანაგობა „აღმაშენებელი 2011“ , რომელიც შექმინილია 2011 წლის 29 მარტის #110315035 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ ხელშეკულების თანახმად, წარმოდგენილ იქნეს მისი სადამფუძნებლო დოკუმენტაციის თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში. მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია სავაჭრო ცენტრი და მიწის ნაკვეთის ამონაწერშიც მხოლოდ კომერციული ფართებია მითითებული, აქედან გამომდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ვერ შეიქმნება საპროექტო მიწის ნაკვეთზე(ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ობიექტი მშენებარეა) , შესაბამისად ბმა „გალერეას 2019 “ წლის წესდება ვერ იქნება მიღებული განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად უფლების დამდგენ დოკუმენტად. განგიმარტავთ, რომ ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის ფასადის ვიზუალს და ზოგადად მასზე სამშენებელო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებას განსაზღვრავს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესის მქონე პირი, დამკვეთი, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად წარმოადგენს ამხანაგობა „აღმაშენებელი 2011“.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.